

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

• ენა და კულტურა •
თბილისი
1999

ამის შესანიშნავი მაგალითია წერილი, რომელიც ერთ-ერთმა მკელელმა თავის თანამზრახველებს მისწერა: Un usage est à maquiller la sorgue dans la tolle du raticon du patelin, on peut enquiller par la ventorne de la cabriole de la larbine-ლიტურატურული ფრანგულით ეს წინადადება ასეთ ხახებს მიიღებს: un coup est à faire dans la maison du curé du pays, on peut entrer par la fenêtre de la chambre de la servante-თავს უნდა დავისხათ ამ მხარეში მცხოვრებ კიურეს ხახლს. შეიძლება მოსამსახურის ოთახის ფანჯრიდან შევლა.

არგოს მეორე ტიპია, სხვადასხვა ხელობასთან თუ საქმიანობასთან დაკავშირებული არგო. მას პროფესიულ არგოს უწოდებენ. ეს იმ სიტყვათა და წარმოთქმათა ერთობლიობაა, რომელიც გავრცელებულია მეშახტოთა, ქურნალისტთა, მხახიობთა, მეზღვაურთა, მეომართა, მოსწავლეთა და ა. შ. მეტყველებაში. ასეთი არგოს წარმოქმნა დაკავშირებულია სამრეწველო სპეციალიზაციასთან, შრომის საერთო პირობებთან, ზოგჯერ საყოფაცხოვრებო პირობებთან. მარსელ კოენი და უან მარუშო არგოს განიხილავნენ როგორც სპეციალურ ენას, რომელიც მდიდარია პარაზიტული ლექსიკით. პიერ გირო სამ ელემენტს გამოყოფდა ამ სპეციალურ ენაში: 1. ტექნიკური ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ცნებებს, საქმიანობას, ქურდული სამყაროსათვის დამახასითებელ კატეგორიებს და რომელიც ირეკლამს მიირე მხრივ კულტურის, მგრძნობელობის ფორმას, მენტალიტეტის, თავისებური ცხოვრების შეცნობას; 2. საიდუმლო ლექსიკა, რომელსაც გააჩნია ორიგინალური ხეპირი წარმონაქმნები; 3. არგოტული ლექსიკა, რომელიც შედგენილია ტექნიკური სიტყვების ერთობლიობით, უფრო ზუსტად საიდუმლო სიტყვებით, რომელებმაც პირველადი უუნდციის გარდა შემოიტოვა თავისი არგოტული მნიშვნელობა, როგორც განსხვავებული ნიშანი, რომლითაც არგოზე მოხაუბრე

ქეთევან ჯაში

არგოს ზოგადი ტიპოლოგია

თანამედროვე ფრანგულ ენაში არსებობს არგოს სხვადასხვა ტიპები. ამასთან დაკავშირებით არგოტოლოგიის უდიდესი სპეციალისტი დენიზ ფრანსეუა, გამოყოფს მის შემდეგ ჯგუფებს. იგი წერს, რომ 4 ტიპის არგო არსებობს: 1. ტრადიციული არგოს გადმონაშობები; 2. ქარგოები ან არგო, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ხელობასა თუ საქმიანობასთან; 3 მოდალური კილოკავი, ნეოარგო; 4. საერთო არგო, რომელიც დაფიქსირებულია ლექსიკონში (2, 2). განვიხილოთ თითოეული ცალკელებები:

1. ტრადიციული არგო, ეს რა თქმა უნდა ქურდების ან ბოროტმოქმედთა ენაა, რომელიც გაერთიანებული იყვნენ ბანდებში ძველი რეჟიმის დროს, ცხოვრობდნენ საზოგადოებისაგან გარიყეულად, თავიათი საკუთარი ლექსიკით. XIX საუკუნის ხოციალური პირობების შეცვლის შედეგად, ქურდულმა სამყარომ დაკარგა თავისი საიდუმლო ლექსიკა. მოხდა ბევრი სიტყვის გულგარიზება. განხდა საიდუმლო მეტყველების ორი ცორმა: 1. შეიცვალა სიტყვის მნიშვნელობა; 2. შეიცვალა სიტყვის ფორმა. I ხერხი სწორებ არგოთა ტიპების პირველ ჯგუფს შეესაბამება:

შეიცნობს და ადასტურებს მის იდენტურობას და ორიგინალურობას.

ხელისმიერი პროფესიის არგოში ხელობის აღმნიშვნელი სიტყვების გარდა გახსვდება საერთო ენის სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობას იცვლიან. მაგალითად: *seringue*-სამხედრო არგოში ნიშნავს თოფს; *comptote*-სასკოლო არგოში დავალებაა; *tuyaute*-კარნახი; *ურნალისტების* არგოში *canard*-გაზეთია; *salade*-სტატია; *salamalec*-დიფირამბები.

არგოს მესამე ტიპია ნეო-არგო, მოდალური კილოკავი. მას განეკუთვნება არგოს ისეთი სახეობები, როგორიცაა, ლარგონე, ჟავანე, ვერლანი. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება კოდი, იცვლება სიტყვის ფორმა. კოდირების ძირითადი ხერხებია: სიტყვაზე პარაზიტული კოდის მიერთება პირდაპირ ან მისი შეპერეცის შედეგად. მაგალითად: *valise-valtrouse valtringue*. კოდის კრიბტოლოგიური ფუნქცია აშკარაა. თუმცა ზოგჯერ კოდი კარგავს ამ ფუნქციას და ამიტომ პერიოდულად საჭიროა მისი შეცვლა. ლარგონე-ესაა სიტყვის დეფორმირება პარაზიტული ასოებისა და ბგერების შექრით, პირობითი კოდის მიხედვით, რომელიც მის გასაღებს წარმოადგენს. ესაა: *L...kem*, მაგალითად: *boucher-loucherbem*.

ამან დასაბამი მისცა ყასაბთა ენის შექმნას. ყოველ სიტყვაში საწყისი თანხმოვანი გადანაცვლებულია სიტყვის ბოლოს და შენაცვლებულია პირობითი თანხმოვით „I”, მაშინ როცა სუფიქსი -em, სიტყვის ბოლოშია. ფრანსუაზ მანდელბაუმ-რაინერმა მოელი სტატია მიუძღვნა ყასაბთა ენის კვლევას. იგი წერდა: “სოციოლოგიური ოვალსაზრისით მოსახლეობის სამი ტიპი მონაწილეობს ყასაბთა საიდუმლო ენის შექმნაში: 1. ისინი, ვინც იცნობს კოდირების ხერხს; 2. ხორცის მაღაზიის კლიენტები; 3. ამ მეტყველების სპეციალისტები (4, 28).

ფრანსუა კარადეკი ასე ხსნიდა ამ მოვლენას: “ ყასბები ამ ენას იყენებდნენ იმისათვის, რომ კლიენტებისათვის, უცნობი ყოფილიყო მათი საუბარი (4, 29). ლაზარ სენეანი ამ ენას უწოდებდა, “დაფორმირებულ სიტყვათა” კრიობლიობას. იგი თვლიდა, რომ ეს ჟარგონი ნაკლებად გამოიყენება პარიზულ საჭაბოებში და რომ ახალგაზრდა ყასბებისათვის იგი ქმნის საიდუმლო ლექსიკას, რომელიც მასზე მოსაუბრეს შეუძლია განახლოს ან შეუნარჩუნოს იგივე ფორმა აუცილებლობისდა მიხედვით (4, 29). მაგალითად: *lourjingue-jour*; *lypetingue-type*; *lobustotem-autobus* და სხვა.

ჟავანე, ნეო-არგოს მარტივი ფორმაა. აქ ორი სახეობა გამოიყოფა, ჟავანე და კადოგანი. ჟავანეს ენაში ხდება -av მარცვლის ჩამატება. როდესაც სიტყვებს სწრაფად წარმოოქმნა, მათი გაგება შეუძლიათ მხოლოდ მიხვეული უკრის მქონე ძლამიანებს. კადოგანი, იგივე პრინციპს ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩართული მარცვალია -dgu, ხმოვნის ანდა ბოლო ხმოვნის გაორმაგებით. მაგალითად: *mividin-midi*; *lonvong-long*; *coucou-cou* და სხვა.

ვერლანი, ესეც თანამედროვე არგოს სახესხვაობაა. იგი სიმაყისა და სიამოვნების, ასევე მწეხარების წყარო მათთვის, ვინც მასზე ლაპარაკობს. ვივიგნ მელი წერდა: “ ესაა ენა სარკეში, საღაც აირეპლება საზოგადოების უამრავი სახის დაძაბულობა”(5, 73).

ამ ენაზე ლაპარაკობენ XX საუკუნის დასაწყისიდან. ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ის კელავ მოდაში შემოვიდა. ახალი ძღმავლობა ვერლანმა პროფა პარიზის გარეუბანში. ხელ-ნელი ვერლანი იჭრება შოგელდღიურ მეტყველებაში. პარიზის რეგიონში 1985 წლიდან ის სარკელამო აფიშებზეც გამოჩნდა.

ზოგი მისი მომხრეა, ზოგიც მოწინააღმდეგებ. ლინგვისტი, რომელიც ამ ენას იკვლევს, მასში ბავშვურ

ხიხარულს პპოვლობს. თავისი წარმოშობით იგი ბოროტმოქმედთა არგოს უახლოვდება, უკულმა ლაპარაკი ქოველთვის იწვევს მტრული დამოკიდებულების რეაქციას. ვერლანის უკელანე ცხობილი სიტყვები გავრცელდა საინფორმაციო ხაშუალებების, სიმღერების, ფილმების, ჩახატი ფილმების მეშვეობით. ესაა: *tromé-métro; chelou-louche; chébran-branché* და ა. შ. ვერლანი, რომელზეც ლაპარაკობდნენ ქურდულ სამყაროში, ინარჩუნებს კიდევ ერთ წმინდა საიდუმლო ფუნქციას, რომელიც მნიშვნელოვანია და მიუწვდომელია სიტყვის უკელა გაგებით ფართო საზოგადოებისათვის. ვერლანზე ლაპარაკობს პარიზელი. ეს ლინგვისტური ფორმა, ძირითადად არის ინდივიდუალურობის მარკერი. ყმაწვილები ვერლანს იყენებენ იმ მიზნით, რომ უფრო სიმპათიურები გამოხდნენ. ვერალნი წარმოადგენს ქაჩის, ტელევიზიის, მუსიკის, კულტურის და სხვა ენას.

IV ტიპი აერთიანებს საერთო არგოს სიტყვებს, რომლებიც ლექსიკონშია დაფიქსირებული. ვრცელდება რა სასაუბრო მეტყველებაში, არგოტული სიტყვები კარგავს არგოტულს და იძენს ჩვეულებისამებრ ფამილარულ-სასაუბრო ელფერს. უკელა სიტყვა, რომელიც საერთო არგოს განეკუთვნება, იმ სიტყვათა ერთობლიობაა, რომელიც ცხობილია საზოგადოების ყველა ფენისა და ყველა წრისათვის. ეს არგოტული სიტყვებია, რომლებიც დაფიქსირებულია ლექსიკონში, რომლებიც არც პროფესიულ და არც სოციალურ არგოს არ განეკუთვნება. მაგალითად: *boulot-სამუშაო; bagnole-მანქანა; balle-ფული; flinguer-მოკვლა.*

ანალიზმა დაგვახახა და დაგვიდასტურა, რომ ფრანგი ლინგვისტი ალბერ დოზა მართალი იყო, როდესაც ამბობდა: “არ არხებობს ერთი სახის არგო, არის მრავალნაირი არგო” (2, 621).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marcel Cohen-Toujours des regards sur la langue française. 1970, Paris, Éditions Sociales;
2. Denise François-Les argots-Le langage-L' argoterie, recueil d'articles, Paris 1989, Sorbonnargot;
3. Pierre Guiraud-L'argot-Que sais-je? Paris, 1973, PUF;
4. Françoise Mandelbaum-Reiner-Secrets de bouchers et largonji actuel des loucherbem, langage et société, n.45, septembre 1988.

Kéthévan Djachy

Typologie générale de l' argot (Sommaire)

Le présent article concerne la typologie générale de l' argot. On distingue 4 types d'argot: 1.L'argot traditionnel; 2. Des jargots qui seraient des argots liés à tel métier ou telle activité; 3. Des parlers branchés, les néo-argots, très diversifiés selon les groupes d' utilisateurs; 4. L'argot commun difficile à cerner mais qui se manifeste bien par l'entrée dans les dictionnaires. On envisage les rapports entre l'argot et ses unités linguistiques “apparentées”. Le largonji, le javanais, le verlan. Largonji c'est le codage des mots. Il consiste à masquer le mot en le déformant par interversion des lettres ou par l'introduction et la substitution des lettres parasites selon un schéma conventionnel qui en constitue la clé, L...kem. Le javanais introduit dans le corps du mot une syllabe parasitaire -av ; le cadogan se sert d'une syllabe -dgu. Le verlan est la langue miroir, consiste à intervertir l'ordre des lettres. Le verlan est un langage de Parisiens.